

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №172

2010 წლის 25 ივნისი

ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ

მუხლი 1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და 29-ე მუხლების შესაბამისად :

1. დამტკიცდეს საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017წწ. სახელმწიფო სტრატეგია (დანართი №1).

2. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017წწ. სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობისა და კოორდინაციის მიზნით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის დ. ტყეშელაშვილის თავმჯდომარეობით შეიქმნას საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია და დამტკიცდეს მისი შემადგენლობა (დანართი №2).

მუხლი 2. საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის თავმჯდომარემ დ. ტყეშელაშვილმა სამ თვეში დასამტკიცებლად წარმოადგინოს კომისიის დებულება.

მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 17 მარტის №48 დადგენილება „საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“.

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ნ. გილაური

საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017წწ. სახელმწიფო სტრატეგია

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2009 წელს შეიქმნა საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის სამთავრობო კომისია, რომელსაც ამოცანად განესაზღვრა საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის პროექტის მომზადება.

კომისიის მუშაობის მხარდასაჭერად ჩამოყალიბდა კომისიის სამდივნო შვიდ სამუშაო ჯგუფთან ერთად, რომელთა შემადგენლობაში შევიდნენ ექსპერტები, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და საჯარო მოსამსახურეები სხვადასხვა დარგობრივი სამინისტროებიდან.

კომისიის სამდივნოს მიერ მომზადებულ იქნა რეგიონული განვითარების შესახებ დიაგნოსტიკური მოხსენებისა და რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის პროექტის ძირითადი მიმართულებებისა და ამოცანების დოკუმენტები, რომლებიც მოწონებულ იქნა კომისიის მიერ.

საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017წწ. სახელმწიფო სტრატეგია შემუშავებულია ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებში გამოკვეთილი ძირითადი მიმართულებებისა და ამოცანების საფუძველზე.

საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის ძირითადი მიზანია, უზრუნველყოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტებისა და პირობების გაუმჯობესება, რაც მიიღწევა რეგიონების დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით, რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებითა და რეგიონებს შორის არსებული სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებით.

თავი I

ზოგადი დებულებები

1.1. ძირითადი ცნებები

1. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია (შემდგომში – სტრატეგია) არის საშუალოვადიანი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და ადგენს ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობებს.

2. რეგიონული პოლიტიკა სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს მიზანმიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც კონცენტრირებული და კოორდინირებულია რეგიონულ დონეზე და ეფუძნება განვითარების პრიორიტეტებს და ამ პრიორიტეტების შესაბამისად ქვეყნის მდგრად რეგიონულ განვითარებაზე მიმართული რესურსების შედეგზე ორიენტირებულ განაწილებას.

3. რეგიონი ქვეყნის მდგრადი რეგიონული განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას განიმარტება როგორც ფუნქციურ –დაგეგმარებითი ერთეული, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ –ტერიტორიული ერთეულების ერთობლიობას და, როგორც წესი, ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო



რწმუნებულების – გუბერნატორების სამოქმედო ტერიტორიას. სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე, რეგიონად აგრეთვე განიხილება ქ. თბილისი, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკები და დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული.

4. რეგიონული განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის რეგიონულ დონეზე დაგეგმვა და რეალიზაცია
ხორციელდება მოცემული რეგიონის განვითარების სტრატეგიისა და რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო პროგრამის საფუძველზე.

5. რეგიონის განვითარების სტრატეგია არის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს რეგიონის განვითარების ძირითად პრიორიტეტებს და გამოწვევებს, ადგენს რეგიონის განვითარების მიზნებს, ამოცანებსა და მათი რეალიზაციის გზებს. რეგიონის განვითარების სტრატეგია წარმოადგენს საფუძველს შესაბამისი რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო პროგრამის შემუშავებისათვის.

1.2. ძირითადი პრინციპები

სტრატეგია ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს :

ა) სინქრონულობის და სინერგიის პრინციპი გულისხმობს ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების სინქრონიზაციას და „ზევიდან ქვევით“ და „ქვევიდან ზევით“ მიდგომების კონსოლიდაციას რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში;

ბ) სუბსიდიარობის პრინციპი გულისხმობს უფლებამოსილებათა დეკონცენტრაციას და დეცენტრალიზაციას, უფლებამოსილების განხორციელებას მმართველობის ქვედა დონეზე, რომელიც უფრო ახლოს დგას ხალხთან და კარგად იცნობს ადგილობრივ საჭიროებებს, თუ არ დასტურდება ამ უფლებამოსილებათა ცენტრალურ დონეზე განხორციელების მეტი ეფექტურობა და ეკონომიურობა;

გ) მონაწილეობის პრინციპი გულისხმობს რეგიონული განვითარების სტრატეგიის დაგეგმვის, მიღების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესის საჯაროობას, ამ პროცესში მოქალაქეების, დაინტერესებული მხარეების, ორგანიზაციებისა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ჩართულობას.

თავი II

ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფა მდგრადი რეგიონული განვითარებისათვის

ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის მიზანია საქართველოს მდგრადი რეგიონული განვითარების უზრუნველყოფისათვის ქმედითი ინსტიტუციური და სამართლებრივი მექანიზმების განსაზღვრა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაუმჯობესება.

თანამედროვე რეგიონული მართვის ოპტიმიზირებული ინსტიტუციური სტრუქტურების, სამართლებრივი მექანიზმების განსაზღვრა და ამ პროცესის კონსოლიდირება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას და წინაპირობას რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიაში წარმოდგენილი პოლიტიკის ამოცანებისა და მიზნების განსახორციელებლად.

სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე, ეფექტიანი რეგიონული მართვა განიხილება როგორც რეგიონულ დონეზე კოორდინირებული ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების ინდივიდუალური და ერთობლივი ძალისხმევა, რომელიც უზრუნველყოფს ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილებების ეფექტიან განხორციელებას და მოსახლეობისათვის ხარისხიანი მომსახურების გაწევას.

ეფექტიანი რეგიონული მართვის სისტემა უნდა ეყრდნობოდეს დეკონცენტრირებული და დეცენტრალიზებული მმართველობის პრინციპსა და რეგიონული პოლიტიკის „ზევიდან ქვევით“ და „ქვევიდან ზევით“ მიდგომების ეფექტიან სინერგიას, რაც უნდა განხორციელდეს ყველა დაინტერესებული მხარის (პარლამენტი, მთავრობა, დარგობრივი სამინისტროები, სახელმწიფო დაწესებულებები, სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, არასამთავრობო და ბიზნესსექტორი, მოქალაქეები და სხვა დაინტერესებული მხარეები) მონაწილეობით.

მდგრადი რეგიონული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია კადრების ეფექტიანი მართვა და ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა.

ეფექტიანი რეგიონული მართვისათვის მნიშვნელოვანია ელექტრონული მმართველობის სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს მთავრობასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის მრავალგვარი ფორმის რეალიზაციას. ელექტრონული მმართველობის საინფორმაციო ბაზები მოქალაქეებს, ბიზნესწრეებს საშუალებას აძლევს ეფექტიანად გამოიყენონ ინფორმაციული რესურსები.

ელექტრონული მმართველობის სისტემა ხელს შეუწყობს შიდა ინსტიტუციური და ინსტიტუციათაშორისი მართვის გამარტივებას, მოქალაქეებთან და ბიზნესწრეებთან სახელმწიფო და ადგილობრივ ხელისუფლებათა ურთიერთობების მექანიზმების დახვეწას, საერთაშორისო პარტნიორების მოძიებას და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას.

ამოცანები

2.1. რეგიონული განვითარების სამართლებრივი უზრუნველყოფა

1. სახელმწიფოს მიერ მკაფიოდ დეკლარირებულ უნდა იქნეს რეგიონული პოლიტიკის არსი, ძირითადი მიზნები და ამოცანები, რაც შეამცირებს არასწორი განმარტებებისა და ინტერპრეტაციების შესაძლებლობას, ასევე გაზრდის ქვეყნის რეგიონული განვითარების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას.



რეგიონული განვითარების შესახებ სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების, ამოცანების და განხორციელების პრინციპებისა და მექანიზმების საკანონმდებლო რეგლამენტაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონული პოლიტიკის ქმედით და ეფექტიან განხორციელებას, წარმოშობს სახელმწიფოს კანონისმიერ ვალდებულებას და მისი განხორციელების სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის ეფექტურ მექანიზმებს. შესაბამისად, აუცილებელია შემუშავებულ იქნეს „რეგიონული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.

„რეგიონული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით უნდა :

- განიმარტოს რეგიონული განვითარების ძირითადი მიზნები, ამოცანები და პრინციპები;
 - განისაზღვროს ქვეყნის რეგიონული განვითარების ძირითადი დოკუმენტების ჩამონათვალი და მათ შემუშავებასა და მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოები;
 - ჩამოყალიბდეს და გაიმიჯნოს რეგიონული განვითარების პროცესში ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების, დროებითი ადმინისტრაციულ -ტერიტორიული ერთეულის, ქ. თბილისისა და სხვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციები, დადგინდეს ქვეყნის მდგრადი რეგიონული განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფის მექანიზმები;
 - განისაზღვროს რეგიონის დონეზე სამართლებრივ -ინსტიტუციური მექანიზმები რეგიონის განვითარების სტრატეგიისა და მისი განხორციელების პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, რეალიზების და მასზე ზედამხედველობის მიზნით;
 - დადგინდეს ტერიტორიული საზღვრები, რომელთა ფარგლებშიც განხორციელდება რეგიონის განვითარების სტრატეგია;
 - განისაზღვროს იმ ტერიტორიების სტატუსი და მათი დადგენის კრიტერიუმები, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ სახელმწიფო მხარდაჭერას;
 - ჩამოყალიბდეს ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც გააუმჯობესებენ რეგიონული განვითარების პროცესში უწყებათაშორის კოორდინაციას;
 - შეიქმნას ეფექტიანი ინსტიტუციური საფუძველი, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავება -განხორციელების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას;
 - განისაზღვროს სხვა ინსტიტუტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიისა და რეგიონების განვითარების სტრატეგიების შემუშავება -განხორციელებას.
2. მომზადებულ უნდა იქნეს საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომლის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის სავალდებულო კომპეტენციად განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილება, შეიმუშაოს და დაამტკიცოს თვითმმართველი ერთეულის განვითარების სტრატეგია და მისი განხორციელების პროგრამა.

2.2. საქართველოს რეგიონული განვითარების რეფორმის პროცესში მონაწილე სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციების განსაზღვრა

1. სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური სტრუქტურების კომპეტენცია რეგიონული განვითარების პროცესში :

• ეფექტიანი რეგიონული მართვის მიზნით სახელმწიფო მმართველობისა და რეგიონული განვითარების პროცესში ჩართული საჯარო საქმიანობის განმახორციელებელი სხვა ორგანიზაციების ტერიტორიულ ორგანოთა უფლებამოსილების ტერიტორიული ფარგლები, როგორც წესი, შესაბამისობაში უნდა იყოს რეგიონის ან რეგიონების (ერთი ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილების ფარგლები შეიძლება ზუსტად ემთხვეოდეს ორი ან რამდენიმე რეგიონის საზღვრებს) ტერიტორიულ ფარგლებთან;

• საჭიროა, განისაზღვროს სახელმწიფო მმართველობის ტერიტორიული ორგანოებისა და საჯარო საქმიანობის განმახორციელებელი სხვა ორგანიზაციების უფლებამოსილებანი შესაბამისი რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში;

• საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელების უწყებათაშორისი კოორდინაცია. სამინისტრომ რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიისა და ამ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის, რეგიონების განვითარების სტრატეგიების და მათი სამოქმედო პროგ -რამების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ პერიოდული ანგარიში უნდა წარუდგინოს საქართველოს მთავრობას;

• საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დაინტერესებულ უწყებებთან მჭიდრო კოორდინაციით უნდა შეიმუშაოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს მთავრობას. ასევე სამინისტრომ საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების მიერ შემუშავებული შესაბამისი რეგიონების განვითარების სტრატეგიებისა და ამ სტრატეგიების განხორციელების სამოქმედო პროგრამების პროექტები;

• საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფარგლებში ჩამოყალიბდეს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის, რეგიონების განვითარების სტრატეგიების სამოქმედო პროგრამების შემუშავება -განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი;

• საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის



სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრმა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები რეგიონული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების დამატებითი საექსპერტო და ფინანსური მხარდაჭერის მიზნით.

2. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის კომპეტენცია რეგიონული განვითარების რეფორმის პროცესში :

• რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და ეფექტიანი რეგიონული მართვის მიზნით სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის რეგულარულ კომპეტენციად უნდა განისაზღვროს რეგიონის განვითარების სტრატეგიის პროექტის მომზადება და მისი განხორციელების კოორდინაცია;

• რეგიონის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო პროგრამის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ სახელმწიფო რწმუნებულმა – გუბერნატორმა პერიოდული ანგარიში უნდა წარუდგინოს საქართველოს მთავრობასა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

2.3. ეფექტიანი რეგიონული მართვის უზრუნველყოფისათვის ახალი ინსტიტუციების შექმნა

1. რეგიონში კოლეგიური ორგანოს – რეგიონული განვითარების საბჭოს შექმნა

რეგიონული განვითარების საბჭო უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების, სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების და ადგილობრივი საზოგადოების მონაწილეობას რეგიონის განვითარების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელების მონიტორინგში.

საბჭოს თავმჯდომარეობს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი. საბჭო წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის სათათბირო ორგანოს. საბჭოს შემადგენლობაში შედიან შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების, სახელმწიფო მმართველობის ტერიტორიული ორგანოებისა და საჯარო საქმიანობის განმახორციელებელი სხვა შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობას იღებენ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია.

2. რეგიონული განვითარების ფონდის შექმნა

რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიით და მისი სამოქმედო გეგმით, ასევე რეგიონების განვითარების სტრატეგიებითა და მათი განხორციელების პროგრამებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების დაფინანსების უზრუნველყოფისა და ორგანიზების მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით უნდა შეიქმნას რეგიონული განვითარების ფონდი.

ფონდის ფუნქცია იქნება რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით, რეგიონის განვითარების სტრატეგიებისა და სამოქმედო პროგრამებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსება და აღნიშნული მიზნით დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება. ფონდის სახელმწიფო კონტროლს განახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

2.4. მოქალაქეთა თანამონაწილეობის ხელშეწყობა „მოქალაქეებზე ორიენტირებული“ ეფექტიანი რეგიონული მართვის უზრუნველსაყოფად

მდგრადი რეგიონული განვითარებისა და ეფექტიანი რეგიონული მართვის პროცესი უნდა ეფუძნებოდეს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების, მეწარმეების და მოქალაქეების თანამშრომლობას. მოქალაქეთა მონაწილეობა რეგიონული განვითარების პროცესში უზრუნველყოფს რეგიონული მართვის მეტ გამჭვირვალობას, გახსნილობას, სამოქალაქო თანხმობის მიღწევას და რეგიონული მართვის ეფექტიანობის ამაღლებას.

რეგიონის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისა და შემუშავების პროცესში მოსახლეობის ჩართვა წარმოადგენს მათი რეგიონული განვითარების პროცესის საიმედო პარტნიორებად გადაქცევის საფუძველს, ვინაიდან ისინი ყველაზე კარგად იცნობენ მათი დასახლების, რეგიონის პრობლემებსა და საჭიროებებს. ამასთან, მოსახლეობის ჩართვა და მასთან თანამშრომლობა იმავდროულად საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის ზრუნვაში მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას უწყობს ხელს. იზრდება როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა და ხელისუფლებისადმი ნდობა, ისე მოქალაქეთა პასუხისმგებლობა და ზრუნვა საკუთარ გარემოზე. ყოველივე აღნიშნული ხელს შეუწყობს ეფექტიან მართვასა და მდგრად რეგიონულ განვითარებას.

2.5. ადგილობრივი და რეგიონული სტატისტიკის განვითარება

მდგრადი რეგიონული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის, რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის, რეგიონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების განვითარების სტრატეგიებისა და მათი განხორციელების სამოქმედო პროგრამებისა და გეგმების მომზადებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი და რეგიონული სტატისტიკური მონაცემების არსებობა. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ობიექტური ადგილობრივი და რეგიონული სტატისტიკის წარმოებას და განვითარებას.

2.6. სივრცით -ტერიტორიული დაგეგმარება

1. მდგრადი რეგიონული განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნდა შეიქმნას დამატებითი პირობები რეგიონისა და თვითმმართველი ერთეულის დონეზე სივრცით -ტერიტორიული დაგეგმარების უზრუნველსაყოფად.

2. ქვეყანაში სივრცით -ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავების



ხელშეწყობისათვის საჭიროა შეიქმნას არსებული საბაზისო ინფორმაციის (აეროფოტოგადაღება, ტოპოგრაფიული რუკები, საკადასტრო რუკები და სხვ.) უნიფიცირებული მონაცემთა ბაზა. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს აღნიშნულ ბაზაზე სივრცით -ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქმშენებლობით დოკუმენტების შექმნისათვის პასუხისმგებელი პირების დამკვლავება.

2.7 ადგილობრივი მოსახლეობისათვის მომსახურების ეფექტიანად გაწევის უზრუნველსაყოფად თვითმმართველ ერთეულებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების ხელშეწყობა

1. უნდა შეიქმნას დამატებითი პირობები თვითმმართველი ერთეულების თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

2. საჭიროა, მომზადდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომელიც არამოსაზღვრე ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებსაც მისცემს უფლებას, ჩამოაყალიბონ ერთობლივი სამსახურები. ასევე, უნდა განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ერთობლივი პროექტების მომზადებისა და მათი დაფინანსების წესი.

3. უნდა განისაზღვროს თვითმმართველი ერთეულების მიერ ერთობლივი ნორმატიული აქტის გამოცემის წესი.

2.8. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა

საქართველოს მთავრობამ კომპეტენციის შესაბამისად უნდა განახორციელოს ღონისძიებები სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმების ხელშეწყობის მიმართულებით, რომელიც საქართველოს თვითმმართველ ერთეულებს მისცემს უფლებას, გააფორმონ ტრანსსასაზღვრო ხელშეკრულებები. ამასთან, საჭიროა მომზადდეს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების პროექტი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებას და პროცედურებს ტრანსსასაზღვრო ხელშეკრულებების დადების სფეროში.

2.9. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დამოუკიდებლობის ხელშეწყობა და ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილებების მკაფიო გამოიჯვნა

1. ეფექტიანი მართვის განხორციელება და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ხარისხიანი მომსახურების გაწევა, ადგილობრივი თვითმმართველობის დაცვა და გაძლიერება მნიშვნელოვანია დემოკრატიისა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფო მშენებლობისათვის. ხელისუფლების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები წარმოადგენენ დემოკრატიული მმართველობის ერთ -ერთ ძირითად საფუძველს. რეალური პასუხისმგებლობის მქონე ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ეფექტიან და მოქალაქესთან დაახლოებულ მმართველობას. აღნიშნული გულისხმობს ხელისუფლების ისეთი ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომლებსაც გააჩნიათ ფართო ავტონომია მათი კომპეტენციების განხორციელების და ამ კომპეტენციების განსახორციელებლად აუცილებელი სახსრების ქონის თვალსაზრისით.

შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის პროცესში საქართველოს მთავრობის პოლიტიკა უნდა განხორციელდეს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ სულისკვეთებისა და ქარტიის წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. თვითმმართველობის რეფორმამ უნდა უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულების ფინანსური დამოუკიდებლობის გაძლიერება და მათთვის იმ უფლებამოსილებების გადაცემა, რომელთა ადგილობრივ დონეზე განხორციელება გაზრდის მართვის ეფექტიანობას.

2. საჭიროა გადაისინჯოს საჯარო უფლებამოსილებების მარეგულირებელი ყველა საკანონმდებლო აქტი და უზრუნველყოფილ იქნეს მათი ჰარმონიზაცია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიასთან“, ასევე „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონთან. საქართველოს მთავრობის მიერ ცალკეული საკანონმდებლო აქტის გადასინჯვისას მიღებულ უნდა იქნეს პრინციპული გადაწყვეტილება – კონკრეტული საჯარო კომპეტენცია გადაეცეს ადგილობრივ თვითმმართველ -ლობებს საკუთარ კომპეტენციად, ან მოხდეს მისი დელეგირება თვითმმართველი ერთეულისათვის, ან ამ კომპეტენციის განხორციელება მიეკუთვნოს სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილების სფეროს.

2.10. ადამიანური რესურსების მომზადება მდგრადი რეგიონული განვითარების უზრუნველსაყოფად

1. შემუშავებულ უნდა იქნეს ადამიანური რესურსების განვითარების სახელმწიფო სტრატეგია, სადაც განსაზღვრული იქნება სახელმწიფოს ძირითადი პრიორიტეტები საჯარო ინსტიტუციებში ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით. სტრატეგიის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაინტერესებულ მხარეთა მაქსიმალური ჩართულობა.

სტრატეგიის საფუძველზე უნდა განისაზღვროს საჯარო მოხელეთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები. პროგრამების მიხედვით ჩატარებული სწავლებები უნდა ემსახუროდეს მოხელეთა აღჭურვას კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ეფექტიანი ინსტრუმენტებით (ცოდნა, უნარ - ჩვევები, მეთოდოლოგია და ა.შ.), საჭიროებათა გათვალისწინებით.

2. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების მდგრადი სისტემის ჩამოყალიბება და შესაბამისი ფინანსური სახსრების მობილიზება.

ამ მიმართულებით ერთ -ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს ადამიანური რესურსების მომზადება, რომელთა მონაწილეობით შესაძლებელი იქნება რეგიონის განვითარების სტრატეგიების, ასევე



ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სტრატეგიებისა და პროგრამების ეფექტიანი შემუშავება და განხორციელება.

მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა ითანამშრომლონ რეგიონული განვითარების საკითხებით დაინტერესებულ სხვადასხვა მხარეებთან : არასამთავრობო სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სწავლების მიმწოდებლებთან და ა.შ., რათა, ერთი მხრივ, კოორდინაცია გაუწიონ სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ტრენინგებს, გამოიყენონ ისინი საჭიროებისამებრ და, მეორე მხრივ, მოიზიდონ ფინანსური სახსრები.

სახელმწიფოს შესაბამისმა დაწესებულებებმა საკუთარი ბიუჯეტების დაგეგმვისას უნდა გაითვალისწინონ ასიგნებები ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით.

3. მომზადებულ უნდა იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა სწავლების სახელმწიფო კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს მუნიციპალურ საჯარო მოსამსახურეთა სწავლების სისტემის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს, სწავლების სახეებსა და ფორმებს, სწავლების სისტემის მაკოორდინირებელ რგოლებს, სწავლების კრიტერიუმებსა და მათ შესაბამისობას მოხელეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან გამომდინარე სწავლების საჭიროებებთან.

4. საჭიროა ჩამოყალიბდეს საჯარო მოხელეთა მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ერთიანი სტანდარტი და მასზე დაფუძნებული სისტემა, შეიქმნას და განხორციელდეს საჯარო მოხელეთა სწავლების სპეციალური სასწავლო პროგრამები. სწავლებების კოორდინირება უნდა ხდებოდეს ერთიანი პოლიტიკის ფარგლებში და ატარებდეს სისტემატურ ხასიათს.

2.11. საჯარო მოსამსახურეების შეფასებისა და ანაზღაურების ერთიანი სისტემის შემუშავება და დანერგვა

1. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეებისათვის უნდა დაინერგოს სამუშაოს აღწერილობის სისტემა, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული მოსამსახურის უფლება - მოვალეობები, მისი კომპეტენციები, შესასრულებელი ამოცანებისა და დავალებების ნუსხა, რაც ხელს შეუწყობს საჯარო მოსამსახურის საქმიანობის დაგეგმვას და გაზრდის მოსამსახურეთა საქმიანობის შეფასების ობიექტურობის ხარისხს.

2. საჯარო მოსამსახურეების დეტალური სამუშაოს აღწერილობის საფუძველი უნდა გახდეს ის ფუნქციები და მოვალეობები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს ეფექტიანი მართვის განხორციელების და მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი მომსახურების უკეთესად მიწოდების რეალური საჭიროებებიდან. მოხელეთა მიერ ყოველდღიური სამუშაოს შესრულება და მათი საქმიანობის შეფასება უნდა ხდებოდეს ამ აღწერილობით განსაზღვრული მოვალეობების მიხედვით. მოსამსახურის საქმიანობის შეფასების სტანდარტების არარსებობა ართულებს მოსამსახურეებისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების ეფექტიანობის დადგენას.

3. სახელმწიფო და ადგილობრივი საჯარო მოხელეებისათვის შემუშავებულ უნდა იქნეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება სამუშაოს აღწერილობასთან. ამასთან, საჯარო სამსახურში უნდა ჩამოყალიბდეს საქმიანობის დაგეგმვისა და ანგარიშგების სისტემა, რაც საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად უნდა გახდეს მოხელეთა საქმიანობის შეფასებისა და მათი კარიერული ზრდის საფუძველი.

4. შემუშავებულ უნდა იქნეს რეგიონული ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეთა საერთო სახელფასო ბადე.

2.12. ელექტრონული მმართველობის (e-Governance) პლატფორმის შემცველი კომპონენტებისა და სერვისების დანერგვა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით

1. დღეისათვის საქართველოში, განსაკუთრებით რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე, მწირია როგორც საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების საერთო დონე, ისე ელექტრონული მმართველობის რესურსები. ადგილობრივი თვითმმართველობების უმეტესობა აღჭურვილია მოძველებული ტექნიკით; შიდა კომპიუტერული ქსელი პრიმიტიულია ან არ არსებობს, მომხმარებლებისათვის შეზღუდულია ინტერნეტ-სერვისიც. უნდა განხორციელდეს რეგიონული ადმინისტრაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ელექტრონული მზადყოფნის დონის ამაღლება თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვის, შესაბამისი ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნის, შეუფერხებელი, საიმედო და დაცული ინტერნეტ-სერვისით უზრუნველყოფის გზით, ასევე სათანადო ტრენინგების ციკლის ჩატარებით. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების საქმისწარმოება გადაყვანილ უნდა იქნეს ციფრულ რეჟიმში; უნდა შემუშავდეს შესაბამისი პროგრამულ-ტექნიკური ინსტრუმენტები და სამართლებრივი მექანიზმები.

2. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მუნიციპალური (და სახელმწიფო) სერვისების დანერგვა ელექტრონული სახით; რეგიონული ადმინისტრაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის გადატანა ციფრულ სივრცეში, რაც ხარისხიანს გახდის მოსახლეობის მომსახურებას და გაზრდის მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობას თვითმმართველობის საქმიანობაში.

3. საჭიროა შეიქმნას უნიფიცირებული რეგიონული სამთავრობო პორტალი, რომელიც დატვირთული იქნება ინფორმაციით რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების შესახებ, მათ შორის, საინვესტიციო და ბიზნესშესაძლებლობების, ასევე გამოცხადებული ტენდერების, შესყიდვების, კონკურსებისა და მოქმედი სამართლებრივი ბაზის შესახებ.



მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მიზანია სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი მომსახურების (წყალმომარაგება და წყალსარინები, ნარჩენების მართვა, გზები, ტრანსპორტი და სხვ.) მიწოდებელი ინფრასტრუქტურის სისტემების ეფექტიანი მართვის მექანიზმის ჩამოყალიბება მათი შემდგომი მდგრადი განვითარებისთვის.

ქვეყანაში ინფრასტრუქტურის სექტორის განვითარება ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინვესტიციები ამ სფეროში. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ინფრასტრუქტურა სუსტადაა განვითარებული, იგი ხშირად გამოუსადეგარია სათანადო მომსახურების გაწევისათვის, ვინაიდან მრავალი წლის განმავლობაში არ ხორციელდებოდა ამ სექტორის სათანადო მართვა (არ არსებობდა შესაბამისი სტრატეგია, მჭირი იყო დაფინანსება, შეინიშნებოდა მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობა და სხვ.).

საქართველოში ამჟამად ცხოვრობს 250 ათასი დევნილი და 250 ათასზე მეტი იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ. დევნილები მოსახლეობის დაახლოებით 6% შეადგენენ. ამდენად, სახელმწიფოს პრიორიტეტია დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

ამოცანები

3.1. სტანდარტული მეთოდოლოგიის ფორმირება რეგიონისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის განვითარების სტრატეგიების შესამუშავებლად

შემუშავებულ უნდა იქნეს სტანდარტული მეთოდოლოგია რეგიონისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის განვითარების სტრატეგიების მოსამზადებლად, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება სტრატეგიების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების წესი.

მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიებში განისაზღვროს ისეთი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა მიმართულებით ცალკეული პრიორიტეტების რეალიზაციას, მათ შორის:

- ბიზნესგარემოსა და მეწარმეობისათვის პირობების გაუმჯობესებას;
- კონკურენციის ამაღლებას და ინოვაციების დანერგვას;
- ინფრასტრუქტურის მოვლასა და განვითარებას;
- ინვესტიციების მოზიდვას.

3.2. წყალმომარაგებისა და წყალსარინების სექტორის და სანიაღვრე მეურნეობის განვითარება

1. ამ სექტორის განვითარებისათვის უნდა შეიქმნას ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დარგის არა მარტო რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას, არამედ მის პერსპექტიულ განვითარებასაც, რისთვისაც წყალმომარაგებისა და წყალსარინების სექტორში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს:

- ა) წყალმომარაგებისა და წყალსარინების მომსახურების ყველასათვის ხელმისაწვდომობა;
- ბ) თანამედროვე მართვის სისტემების დანერგვა;

გ) წყლის მიწოდებისა და მომხმარებლისათვის მიწოდებული სასმელი წყლის აღრიცხვიანობის გაუმჯობესება;

დ) წყლის დანაკარგების შემცირება;

ე) წყლის მიწოდებისა და წყალსარინებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებული სისტემის რეაბილიტაცია.

2. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მომხმარებლისათვის ეფექტიანი და მდგრადი მომსახურების მიწოდება. მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა მოხდეს წყალმომარაგებისა და წყალსარინების სისტემების გაფართოება და მომსახურების არეალის გაზრდა.

3. რეგიონული კომპანიების ფინანსური მდგრადობის გასაუმჯობესებლად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მომხმარებლებისაგან თანხების ამოღება.

4. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს რეგიონებში სანიაღვრე ინფრასტრუქტურის შექმნასა და განვითარებას.

3.3. მუნიციპალური ნარჩენების მართვა

1. ნარჩენების მართვის სფეროს მოწესრიგების, შესაბამისი სტანდარტების დადგენისა და ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის მიზნით უნდა შემუშავდეს შესაბამისი საკანონმდებლო აქტის პროექტი. აგრეთვე, საჭიროა შემუშავდეს ნორმატიული აქტების პაკეტი, რომელიც უზრუნველყოფს ამ მიმართულებით მუნიციპალური სტანდარტების დადგენას და მომსახურების გაუმჯობესებას.

2. საჭიროა შეიქმნას პირობები, რომლებიც წაახალისებს ნარჩენების მართვის სფეროს კომერციალიზაციას, რაც ხელს შეუწყობს ამ სექტორში არსებული პრობლემების გადაჭრას.

3. უნდა შემუშავდეს აღნიშნული მუნიციპალური მომსახურების საფასურის გაანგარიშების სტანდარტული მეთოდოლოგია, რომლის მომზადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს საუკეთესო პრაქტიკა და გეოგრაფიული მდებარეობა.

4. ყველა სახის ნარჩენის ერთად ტრანსპორტირებისა და დეპონირებისას ინფექციის გავრცელების თუ გარემოს დაზიანებების მაღალი რისკის გათვალისწინებით ხელი უნდა შეეწყოს როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მხრიდან ნარჩენების დახარისხების სისტემების დანერგვას.

3.4. სატრანსპორტო სისტემის განვითარება



1. მდგრადი რეგიონული განვითარებისათვის აუცილებელია გამართული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს:

- რეგიონებს შორის საავტომობილო და სარკინიგზო გზებს;
- მაღალმთიან რეგიონებში შიდა ფრენებისათვის ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- ტურისტულ ზონებში საბაგრო ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობას.

2. უნდა განისაზღვროს ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობების კოორდინირებული განვითარების პრიორიტეტები, რომლებიც აისახება ცალკეული რეგიონების განვითარების სტრატეგიებსა და სამოქმედო პროგრამებში.

3. გზების დაგების თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მაღალი ხარისხის საფარის, გრძელვადიანი საექსპლუატაციო ვადის, მაღალი უსაფრთხოებისა და არსებული საფარის სათანადო მოვლა-შენახვის მიზნით უნდა შემუშავდეს შესაბამისი წესი, რომელიც განსაზღვრავს გზების მოვლის ნორმებს, სამშენებლო და უსაფრთხოების სტანდარტებს.

4. ქვეყნის შიგნით საავტომობილო სატვირთო გადაზიდვებისა და რეგულარული სამგზავრო გადაყვანების სრულყოფისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის, ჯანსაღი კონკურენტული გარემოსა და უსაფრთხო საავტომობილო პარკის ფორმირების მიზნით უნდა შემუშავდეს და დაინერგოს საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში მოქმედი რეგულაციის თანამედროვე მეთოდებისა და სტანდარტების შესაბამისი ნორმატიული ბაზა.

5. საქართველოს შავი ზღვის სანაპირო რეგიონების საზღვაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით უნდა შემუშავდეს ნავსადგურებში რკინიგზის, საბორნე, საკონტეინერო მულტიმოდალური ტერმინალების გაფართოებისა და დამატებითი სიმძლავრეების ამოქმედების მექანიზმები.

3.5. გათანაბრებითი სატრანსფერო სისტემის გაუმჯობესება და მინიმალური სახელმწიფო სოციალური სტანდარტების შემუშავება

სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონის გათანაბრების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი გათანაბრებითი სახელმწიფო სატრანსფერო სისტემის სრულყოფა უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი მომსახურებისა და პროდუქტის ხარჯვითი სტანდარტების საფუძველზე.

გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულის მიზანს უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის ნებისმიერი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობისათვის მინიმალური თანაბარი საზოგადოებრივი მომსახურებისა და პროდუქტის მიწოდება.

საჭიროა, დადგენილ იქნეს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მინიმალური სახელმწიფო სოციალური სტანდარტები და მათი უზრუნველყოფის მექანიზმები. დადგენილი სტანდარტებისა და განსაზღვრული ფინანსური ნორმების საფუძველზე შესაძლებელი გახდება გათანაბრებითი ტრანსფერის ოპტიმალური ოდენობის დადგენა და მისი ეფექტიანობის შეფასება.

3.6. ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ სესხის აღების წესის საკანონმდებლო დარეგულირება ადგილობრივი თვითმმართველობის კაპიტალის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობისათვის

ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ბანკებიდან და საფინანსო ბაზრებიდან სესხის აღების საკანონმდებლო რეგულირების სრულყოფის მიზნით საჭიროა, საქართველოს მთავრობამ არსებული პრაქტიკის ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე, მოამზადოს ნორმატიული აქტი, რომელიც დეტალურად გაწერს შესაბამის პროცედურებს.

3.7. დევნილებით დასახლებულ თვითმმართველ ერთეულებში დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილთა დაბრუნებამდე მათ ღირსეულ საცხოვრებელ პირობებს, რისთვისაც უნდა განხორციელდეს დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროგრამები.

2. სახელმწიფომ უნდა შექმნას დამატებითი პირობები დევნილების სოციალური ინტეგრაციის, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირების, სახელმწიფო დახმარების საჭიროებებზე მიმართვის და დაუცველი დევნილების მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამებში ჩაბმის მიმართულებით.

თავი IV

ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

საქართველოში რეგიონული საინოვაციო სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს რეგიონული საინოვაციო სისტემის თანმიმდევრული განვითარების, რეგიონების შედარებითი უპირატესობების ეფექტიანი გამოყენებისა და სისტემური თანამშრომლობის საფუძველზე ქვეყნის რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ყოვლისმომცველი ტექნოლოგიური პროგრესი ზრდის ქვეყნებს შორის კონკურენციას, მის მასშტაბებსა და სიჩქარეს, რომელშიც წამყვან როლს თამაშობს კონკურენტული ცოდნა და ინოვაციების შექმნის შესაძლებლობა. მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში სულ უფრო ცხადი ხდება, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცოდნის ეკონომიკაზე, ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავება.

ასეთმა მიდგომამ შესაძლებლობა უნდა მისცეს ქვეყანას, გამოიყენოს საკუთარი შედარებითი უპირატესობები, განავითაროს პრიორიტეტული დარგები და ხელი შეუწყოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას.



ვინაიდან ინოვაციები და ახალი ტექნოლოგიები ამცირებენ ტრანზაქციის ხარჯებს და მატებენ დამატებით ღირებულებას პროდუქტსა და მომსახურებას, ისინი განიხილება როგორც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტები საერთო ეროვნული წარმატების მისაღწევად. შესაბამისად, უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად ყალიბდება ისეთი შედარებითი უპირატესობები, როგორებიცაა: სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალა და საინოვაციო სისტემის განვითარება, საპირწონედ ისეთი (აქამდე წამყვანად მიჩნეული) ფაქტორებისა, როგორებიცაა მდიდარი ბუნებრივი რესურსები.

ამოცანები

4.1. სახელმწიფო საინოვაციო სტრატეგიის შემუშავება და ინოვაციების სტიმულირება

1. სახელმწიფო საინოვაციო სტრატეგია განსაზღვრავს აღნიშნულ სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკას, პოლიტიკის განმახორციელებელ სახელმწიფო სტრუქტურებსა და, მათ შორის, კოორდინაციის მექანიზმებს, საინოვაციო სისტემის ელემენტებსა და შესაბამის ინსტიტუტებს. საინოვაციო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები უნდა იყოს:

ა) რეგიონული საინოვაციო სისტემის (რსს), როგორც რეგიონის ეკონომიკური განვითარების ახალი მოდელის დანერგვა;

ბ) იმ საჯარო და კერძო ინიციატივების მომზადება, დაკავშირება და წახალისება, რომლებიც ხელს შეუწყობს საინოვაციო პროცესსა და მეწარმეობას და წარმოქმნის კონკურენტუნარიან პროდუქტებსა და მომსახურებას საქართველოს რეგიონებში;

გ) იმ ინსტიტუციებისა და მომსახურების ცენტრების ქსელის შექმნა/წახალისება, რომლებიც მხარს დაუჭერს და დააკავშირებს საჯარო, კერძო და აკადემიურ სექტორებს ტექნოლოგიური ინოვაციების, ნოვატორული ცოდნის გენერირებისა და მათი კომერციალიზაციის პროცესში;

დ) კვლევა-განვითარების ერთიანი ეროვნული პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება; კვლევა-განვითარების ინფრასტრუქტურის დაფინანსების გაზრდა;

ე) სამეწარმეო სუბიექტების და კვლევა-განვითარების ინსტიტუციების სივრცითი კონცენტრაციის წახალისება ქვეყნის რეგიონებში (ე.წ. „კლასტერული“ განვითარება რეგიონის შედარებით უპირატესობებზე დაყრდნობით);

ვ) ცოდნის შემომტანი ინსტიტუტების (უნივერსიტეტები, ტრენინგცენტრები, ორგანიზაციები და ა.შ.) მხარდაჭერა და თანამშრომლობის ქსელური პრინციპის დანერგვა;

ზ) რეგიონული კვლევა-განვითარების ინფრასტრუქტურის (კვლევითი ინსტიტუტები და სხვ.), ასევე სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომლებიც ამცირებენ სხვაობას მიწოდებასა და მოთხოვნას შორის (ტექნოლოგიების ბროკერები, სარისკო კაპიტალის ფირმები);

თ) საინოვაციო სისტემის ელემენტების თანამშრომლობისა და კოორდინაციის უზრუნველყოფა განსაკუთრებული ქსელური პროცესების საშუალებით, რომელიც დაეყრდნობა გეოგრაფიული სიახლოვის უპირატესობას.

2. საქართველოში უნიფიცირებული საინოვაციო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დადგენის, განხორციელებისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით ცენტრალურ დონეზე უნდა შეიქმნას სპეციალური ინსტიტუციური მექანიზმები.

3. აუცილებელია მეწარმეობისა და ტექნოლოგიური ინოვაციების მხარდამჭერი ინსტიტუციებისა და მომსახურებების ცენტრების – სამეცნიერო პარკების, ბიზნესინკუბატორების, სარისკო კაპიტალის ასოციაციებისა და ტრენინგცენტრების განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული მოითხოვს სტიმულირების პაკეტის შექმნას როგორც საგანმანათლებლო, ისე ინსტიტუციური და საკანონმდებლო თვალსაზრისით, რათა კერძო სექტორი იყოს მოტივირებული და დაინახოს ინოვაციური წარმოების პრიორიტეტი და შესაძლებლობები, საუკეთესო ინოვაციური პროდუქტის წარმოების უპირატესობა კლასტერულ განვითარებაზე დაფუძნებული პოლიტიკის რეალიზაციის პირობებში. უნდა განხორციელდეს საბანკო სექტორის სტიმულირება, რათა ამ უკანასკნელმა დააფინანსოს მცირე და საშუალო ბიზნესის და სტარტაპის ინოვაციური პროექტები.

4. საჭიროა, ინოვაციების წახალისება სახელმწიფო შესყიდვებითა და საჯარო და კერძო სექტორებს შორის ტექნოლოგიების ტრანსფერის ინსტრუმენტების შექმნით. კერძოდ, უნდა განხორციელდეს იმ ღონისძიებების დაგეგმვა და რეალიზაცია, რომლებიც ხელს შეუწყობს ტექნოლოგიურ ტრანსფერს საჯარო კვლევით ინსტიტუციებსა და კერძო სექტორს, სამეწარმეო სუბიექტებს შორის; უნდა გაიზარდოს კვლევებში ინვესტირებული საჯარო რესურსების მოცულობა და მათი პროდუქტიულობა. ასევე უნდა მოხდეს ინოვაციების ცოდნის ნაკადის შეფასება და ბიზნესსექტორისა და საგანმანათლებლო სექტორის თანამშრომლობის სტიმულირება.

5. აუცილებელია სამეცნიერო საქმიანობის და სამეცნიერო ტექნიკური საინფორმაციო სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით თანამედროვე პოლიტიკის შემუშავება; სამეცნიერო პროდუქტის გავრცელების ხელშეწყობა; ქვეყანაში მიმდინარე კვლევა-განვითარების სამუშაოების, შემუშავებული ტექნოლოგიებისა და პერსპექტიული სამეცნიერო კვლევების სრულყოფილი აღრიცხვა და გავრცელება; შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა.

4.2. რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის ბენეფარკინგის შექმნა

ინოვაციების აღრიცხვისა და შეფასების ინდიკატორების განვითარება საფუძვლად უნდა დაედოს საინოვაციო პოლიტიკის ბენეფარკინგის შექმნას. აღნიშნული უკავშირდება შესაბამისი პარამეტრების



კლასიფიცირებას, რაც, თავის მხრივ, მოიცავს გლობალური, ეროვნული, რეგიონალური ან კონკრეტული წარმოების დონეს.

4.3. რეგიონული საინოვაციო ცენტრების შექმნის ხელშეწყობა

რეგიონული საინოვაციო სისტემის კონსოლიდაციის ქმედითი ინსტრუმენტია რეგიონული საინოვაციო ცენტრების (რსც) ჩამოყალიბება, რომლებიც უზრუნველყოფენ:

ა) კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების ხელშეწყობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, კვლევით ცენტრებსა და მცირე და საშუალო მეწარმეებს შორის შუამავლობას;

ბ) ტექნოლოგიურ და საინოვაციო საჭიროებებსა და კვლევით შესაძლებლობებს შორის საბროკერო როლის შესრულებას;

გ) კვლევითი ლაბორატორიების საქმიანობის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვის ხელშეწყობას;

დ) მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევების, პატენტების, პროტოტიპების, ნოუ-ჰაუს, ლიცენზიების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნას;

ე) ქსელური კავშირების შექმნის მხარდაჭერას, ერთი მხრივ, მცირე და საშუალო ბიზნესსა და, მეორე მხრივ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კვლევა-განვითარების ინსტიტუტებს შორის;

ვ) კოოპერაციული კავშირების შექმნის ხელშეწყობას მცირე და საშუალო ბიზნესსა და დიდ სამეწარმეო სუბიექტებს შორის საინოვაციო პროექტების განსახორციელებლად;

ზ) ადგილობრივ მცირე და საშუალო ბიზნესსა და უცხოელ ინვესტორებს შორის კავშირების დამყარების მხარდაჭერას;

თ) რეგიონში მოქმედი სამეწარმეო სუბიექტების ტექნოლოგიური შესაძლებლობების შეფასებას და მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებათა შესახებ ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელებას;

ი) ახალი ტექნოლოგიების კომერციალიზაციის შესაძლებლობათა შესწავლას;

კ) ერთობლივი კვლევებისა და საიმპლემენტაციო პროექტების წახალისებას სხვადასხვა სამეწარმეო სუბიექტების ჯგუფების მიერ;

ლ) კონსულტაციებისა და ტრენინგების ორგანიზებას ახალი ტექნოლოგიების სფეროში;

მ) პირდაპირი რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ინიცირებას ინოვაციებისა და მეწარმეობის სფეროში;

ნ) რეგიონის სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევების პრომოუშენს.

4.4. საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების შექმნის ხელშეწყობა

საინვესტიციო საკონსულტაციო ცენტრები უზრუნველყოფენ:

ა) რეგიონული საინვესტიციო პროექტების შემუშავებას, პოტენციური უცხოელი ინვესტორების მოძიებას;

ბ) საინფორმაციო რესურსების სისტემატიზირებას და მის გავრცელებას; რეგიონის ეკონომიკური ვებგვერდის შექმნას;

გ) ინვესტორების კონსულტირებას რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის, ინვესტიციების განხორციელების ოპტიმალური იურიდიული ფორმების, ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობის, უძრავი ქონების და სხვა საკითხებზე;

დ) სპეციალური ბიზნესფორუმების, პრეზენტაციების, მარკეტინგული ანალიზის, მიზნობრივი ტრენინგების ჩატარებას, რეგიონის წარდგენას საერთაშორისო გამოფენაზე;

ე) რეგიონის აქტივების რუკის შექმნას.

4.5. კლასტერულ დაგეგმარებაზე დამყარებული ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა

1. კლასტერულ დაგეგმარებაზე დამყარებული ეკონომიკური განვითარება უზრუნველყოფს ერთმანეთთან დაკავშირებული კომპანიების, დარგობრივი მიმწოდებლების, მომსახურების სფეროების, მონათესავე ბიზნესკომ-პანიებისა და მათთან ასოცირებული ინსტიტუტების (უნივერსიტეტები, სტანდარტიზაციის სააგენტოები, სავაჭრო ასოციაციები და სხვ.) გეოგრაფიულ კონცენტრაციას, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ როგორც კონკურენციის, ისე პარტნიორული ურთიერთობის პირობებში.

2. რეგიონების კლასტერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნდა შემუშავდეს საქართველოს რეგიონების ეკონომიკური აქტივების რუკა.

4.6. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ქვეყნის რეგიონებში მოზიდვის სტიმულირება

1. მთავრობის საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა იყოს: შექმნას დამატებითი სტიმულები მეტი უცხოური ინვესტიციის მოსაზიდად, გაზარდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან წარმოქმნილი სარგებელი მათი დამატებული ღირებულების, ე.წ. ექსტრაფინანსური სარგებლის (მოწინავე ტექნოლოგიების და ცოდნის ტრანსფერი, ინვესტირება და რეინვესტირება კვლევა-განვითარებაში, ადამიანური რესურსების განვითარებაში) წახალისებისა და ამ მიმართულებით ლიბერალური, მაგრამ პრაქტიკული სამთავრობო პოლიტიკის ხარჯზე.

შესაბამისად, მიღებულ უნდა იქნეს ზომები დიფერენცირებული საგადასახადო შეღავათების შემოღებისათვის იმ უცხოურ და ინოვაციებზე ორიენტირებულ ინვესტიციებთან მიმართებაში, რომლებიც განხორციელდება ქვეყნის რეგიონებში. მსგავსი ტიპის შეღავათების აუცილებელ წინაპირობად შეიძლება განისაზღვროს ინვესტორის მიერ ნაწილობრივ ან ერთობლიობაში შემდეგ ვალდებულებათა აღება:

ა) განხორციელებული ინვესტიციის მთლიანი მოცულობის გარკვეული პროცენტი უნდა ითვალისწინებდეს კვლევა-განვითარების ხარჯებს;

ბ) განხორციელებული ინვესტიციის მთლიანი მოცულობის გარკვეული პროცენტი უნდა ითვალისწინებდეს



ადგილობრივი ადამიანური რესურსების ტრენინგისა და გადამზადების ხარჯებს;

გ) ადგილობრივად პროდუქციის წარმოების შემთხვევაში, მოცემული პროდუქციის გარკვეული პროცენტი უნდა იყოს საექსპორტო;

დ) დასაქმებული მუშახელის და სხვა ადამიანური რესურსების გარკვეული პროცენტი უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობა;

ე) განხორციელებული ინვესტიცია უნდა ითვალისწინებდეს ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერს და ადგილობრივ სამიმწოდებლო ბაზართან მჭიდრო ურთიერთობას.

2. მეწარმეობის განვითარებისა და ინვესტორთა ინფორმირების მიზნით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შრომითი რესურსების საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს შრომითი ბაზრის ჩამოყალიბებას და განვითარებას. ზემოაღნიშნული მიზნისათვის ასევე საჭიროა, განისაზღვროს ღონისძიებები მოსახლეობის პროფესიული სწავლებისა და გადამზადებისათვის.

4.7. ექსპორტის ხელშეწყობა და ექსპორტზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება

1. ექსპორტზე ორიენტირებული მეწარმეობის წახალისების მიზნით საჭიროა, შეიქმნას შესაბამისი კომპლექსური სახელმწიფო პროგრამა. ამასთან, ექსპორტ-იმპორტის ანალიზის საფუძველზე უნდა მოხდეს რეკომენდაციების შემუშავება იმ სასაქონლო ნუსხის წარმოების შესახებ, რომლის ჩანაცვლებაც და წარმოებაც შეიძლება ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენებით ქვეყნის შიგნით და რომელიც უმოკლეს დროში მოგვცემს რეალურ ეფექტს შიდა ბაზარზე, ხოლო შემდეგ მას გახდის კონკურენტულს რეგიონულსა და საერთაშორისო ბაზარზე.

2. აუცილებელია მიზანმიმართული მუშაობის გაგრძელება საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით. მწვავე კონკურენციის პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანია პროდუქციის დივერსიფიკაცია და ახალი ბაზრების ათვისების სტრატეგიის შემუშავება.

4.8. რეგიონის ბრენდის ჩამოყალიბების ხელშეწყობა – რეგიონული წარმოშობის საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებელთა ნდობის მოპოვება წარმოშობის ადგილზე აქცენტირებითა და რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლებით

რეგიონის ბრენდის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით უნდა მოხდეს ექსპორტის ბაზარზე მომხმარებელთა ინფორმირება რეგიონში წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და უნიკალური თვისებების შესახებ; შეიქმნას ან დაიხვეწოს რეგიონების ვებგვერდები რეგიონების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის განთავსების მიზნით; ასევე უნდა მოხდეს რეგიონში წარმოებული პროდუქტის სლოგანისა და ლოგოტიპის დივერსიფიცირებული ვიზუალური და ვერბალური იდენტურობის ფორმირება.

თავი V

სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარება და გარემოს დაცვის უზრუნველყოფა

სოფლის მეურნეობა ისტორიულად საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია. მიუხედავად იმისა, რომ მასზე მთლიანი შიდა პროდუქტის შედარებით მცირე ნაწილი მოდის, ამ სექტორში დასაქმებულთა წილი ქვეყანაში დასაქმებულთა მთლიანი რიცხვის მნიშვნელოვან რაოდენობას შეადგენს. ამის გამო სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

საქართველოს რეგიონული განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ფაქტორია შესაბამისი პოტენციის მქონე რეგიონებში ტურიზმისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება. ტურიზმის განვითარებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონების გაძლიერებასა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, საქართველოში დიდი პოტენციალი და რესურსები არსებობს. ტურიზმის სხვა დარგებზე დამოკიდებულების გამო საჭიროა, შესაბამისი სექტორების განვითარების დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნეს რეგიონში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები, მისთვის ხელსაყრელი ან, პირიქით, დამაბრკოლებელი პირობების შექმნის თავალსაზრისით.

საქართველოს მდგრადი რეგიონული განვითარების პროცესში სახელმწიფოს მიზანია, უზრუნველყოს გარემოს დაცვისა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესების იმგვარი თანაფარდობა, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზაციას – იცხოვრონ და ისარგებლონ ჯანსაღი გარემოთი.

მდგრადი რეგიონული განვითარებისათვის გარემოს დაცვის უზრუნველყოფას საფუძვლად უდევს შემდეგი სახის ძირითადი პრინციპები:

ა) რეგიონისათვის დამახასიათებელი თავისებურებებისა და მრავალფეროვნების დაცვა და გაძლიერება;

ბ) რეგიონის ეკონომიკის განვითარება, ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა როგორც ისტორიული, ისე ბუნებრივი გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, ამ უკანასკნელის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების გზით;

გ) ბუნებრივი რესურსების გონიერი და ეფექტიანი გამოყენება;

დ) ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების (რეგიონის ადმინისტრაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა, ადგილობრივი მოსახლეობა, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ.) მონაწილეობა ბუნებრივი რესურსების მართვისა და მოხმარების პროცესში.

5.1. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა



1. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების, ამოცანებისა და განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრის მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია.

2. მიღებულ უნდა იქნეს კანონი ფერმერების შესახებ, რომლითაც განისაზღვრება მათი სტატუსი და უფლებამოვალეობანი.

3. სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ენდემური და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების (მევენახეობა-მელვინეობა, მეხორბლეობა, მეჩაიეობა და ა.შ.) რეაბილიტაციის ღონისძიებების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა.

4. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სათანადო ფინანსური მხარდაჭერით მათ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ზუსტი აღრიცხვის და მიწის ბალანსის შესადგენად.

5. საჭიროა, განხორციელდეს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მონაცემთა ბაზის შექმნა და მელიორილებული ფართობების ინვენტარიზაცია.

6. უნდა განხორციელდეს ფერმერებისა და აგრობიზნესში დაკავებული მეწარმეების დაკრედიტების სისტემის სრულყოფა, შეიქმნას ხელსაყრელი პირობები კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოსაზიდად.

7. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად საჭიროა, შეიქმნას აგრომექანიზაციის მომსახურების სახელმწიფო ცენტრები, რომელთა კოორდინაცია უზრუნველყოფილ იქნება საქართველო-სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

8. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სოფლების მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგების ხელშეწყობა, მანქანა-ტრაქტორების სადგურების შექმნა და/ან შეღავათიანი პირობებით დაკრედიტება.

9. საჭიროა ღონისძიებების განხორციელება ბაზრის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ქსელის შექმნა.

10. საჭიროა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამეწარმეო ინიციატივების ინვესტირების წახალისება. საოჯახო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მხარდაჭერა. კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებაზე ორიენტირებული და სხვა სამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერა, რომელიც ადგილობრივი საკადრო და სამეწარმეო რესურსების გამოყენებაზე იქნება ორიენტირებული.

5.2. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

1. შესწავლილ უნდა იქნეს ტურიზმის განვითარებისათვის ქვეყანაში არსებული პოტენციალი და რესურსები რეგიონების მიხედვით სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნის მიზნით. საჭიროა, დეტალურად აღინუსხოს არსებული ინფრასტრუქტურის ობიექტები (შენობა-ნაგებობები), აგრეთვე ტურიზმის ცალკეული დარგების (ეკო-ტურიზმი, კულტურული ტურიზმი, რეკრეაციული და ა.შ.) განვითარებისათვის რეგიონებში არსებული ბუნებრივი და სხვა სახის რესურსები და ამ ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნას მონაცემთა შესაბამისი ბაზა.

2. რეგიონებში არსებული რესურსების შესახებ საინფორმაციო ბაზის გამოყენებით უნდა შემუშავდეს ტურიზმის დარგის კომპლექსური განვითარებისათვის გრძელვადიანი სტრატეგია.

3. საჭიროა, შემუშავდეს შესაბამისი მექანიზმები ტურიზმის სექტორის დივერსიფიცირებისა და შიდა ტურიზმის განვითარების მიზნით, რომლებიც ხელს შეუწყობს ტურიზმის სხვადასხვა სახეობის განვითარებას ქვეყანაში, მათ შორის:

– კულტურული ტურიზმი (ისტორია, ხუროთმოძღვრება, ხელოვნება, ხალხური რეწვა, რელიგიური ტურები);

– კურორტებზე დასვენება (საზღვაო, სამთო-სათხილამურო კურორტები და სხვ.);

– ეკოტურიზმი;

– სათავგადასავლო ტურიზმი;

– აგროტურიზმი, მათ შორის, ღვინის და ადგილობრივი სამზარეულოს ტურები;

– სამედიცინო ტურიზმი (ბალნეოლოგიური კურორტები მინერალური წყლებით, გოგირდის აბანოები, სამკურნალო ტალახი ახტალაში და ა.შ.);

– საქმიანი და პროფესიული ტურიზმი;

– სპორტული ტურიზმი (ალპინიზმი და სხვ.).

4. ქვეყანაში ტურისტული ნაკადის ზრდის უზრუნველსაყოფად უნდა შემუშავდეს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის შესაბამისი პირობები, მათ შორის: საგზაო ტურისტული ნიშნებისა და საინფორმაციო დაფების განთავსება; ტურისტულ ობიექტებზე დაშვების წესის საინფორმაციო დაფების განთავსება.

5.3. ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების, ბუნებრივი კატასტროფებისა და მათ მიერ გამოწვეული რისკების მართვის გაუმჯობესება

1. საჭიროა, რისკის ზონებში დაინერგოს მონიტორინგისა და ადრეული შეტყობინების სისტემები, შემუშავდეს ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციებისათვის სამოქმედო გეგმები, დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები.

2. უნდა განხორციელდეს ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენებით (გვალვა, სეტყვა, მაღალი სიჩქარის ქარები და სხვ.), ბუნებრივი კატასტროფებით/გეოდინამიკური პროცესებით (წყალდიდობები, მეწყერები,



ღვარცხოველები და სხვ.) გამოწვეული რისკების, მათი რეგიონის ეკონომიკასა და სოციალურ სფეროზე გავლენის შეფასება და გათვალისწინება რეგიონების მდგრადი განვითარების სტრატეგიებსა და სამოქმედო პროგრამებში.

5.4. ტყის რესურსების ინვენტარიზაცია და ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფა რეგიონების მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით

1. უნდა მოხდეს ტყის რესურსების აღწერა (ინვენტარიზაცია), სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამიჯვნა.

2. საჭიროა, მომზადდეს ტყის რესურსების ეფექტიანი მართვის სამოქმედო გეგმა (რომელიც ტყის რეკრეაციული მიზნით გამოყენებისა და მისი დაცვის საკითხებსაც უნდა მოიცავდეს).

3. საჭიროა ტყეების მდგომარეობის, დეგრადაციის ხარისხის და მისი გამომწვევი მიზეზების (ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორები) შეფასება და მის საფუძველზე ხარისხის გასაუმჯობესებლად ღონისძიებების (რეაბილიტაცია, ადაპტაცია) დასახვა და განხორციელება.

4. იქ, სადაც ტყის რესურსი მწირია და ენერგორესურსი ნაკლებია, უნდა მოხდეს მიზნობრივი პლანტაციების გაშენება და გაშენებული ნარგავობის მრავალწლიანი მოვლა; ამასთან, პლანტაციების გაშენება არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებას და სოფლის მეურნეობას (სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სამოვრები).

5. საჭიროა ძველი ქარსაფრების აღდგენა და ახლის გაშენება იქ, სადაც ეს აუცილებელია სოფლის მეურნეობისათვის.

5.5. დაცული ტერიტორიების როლის გაზრდა რეგიონის მდგრადი განვითარების პროცესში

1. დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები.

2. ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დაცული ტერიტორიების სისტემის პარალელურად, უნდა მომზადდეს დამხმარე ზონის პროექტები, რაც ხელს შეუწყობს შემოსავლის ალტერნატიული წყაროს შექმნას (მაგ., ეკოტურიზმის განვითარება, ოჯახური სასტუმროებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მოწყობა, გიდეების დაქირავება და ა.შ.).

3. რეგიონის ადმინისტრაციის მიერ უნდა მოხდეს შესწავლა დაცული ტერიტორიების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის შესაძლო ჩართვისა ამ ტერიტორიების ფარგლებში განვითარებულ ტურისტულ საქმიანობაში; რეგიონის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებში ტურისტულ საქმიანობებში ადგილობრივი მოსახლეობის როლის მკაფიოდ ჩამოყალიბება.

4. დაცული ტერიტორიების კატეგორიების განსაზღვრისა და შექმნის პროცესში (მაგ., ბუნებრივი ძეგლი) უნდა იყოს გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობისა და მოსახლეობის ინტერესები.

5.6. წყლის რესურსების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფა

1. იმ რეგიონებში, სადაც მდინარეები მნიშვნელოვანი ენერგორესურსია, ამ რესურსის ეფექტიანად მოხმარებისათვის უნდა მომზადდეს შესაბამისი სამოქმედო გეგმები (მაგ., რეგიონის უზრუნველყოფა დამატებითი მცირე ან საშუალო ჰესებით იქ, სადაც წყლის რესურსი ჭარბადაა), რომლებიც რეგიონის განვითარების სტრატეგიის ნაწილი იქნება.

2. რეგიონებში, სადაც წყალდიდობების რისკი მაღალია (განსაკუთრებით, დასახლებულ პუნქტებთან ან საკომუნიკაციო საშუალებებთან), ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ უნდა მოეწყოს ადრეული გაფრთხილების სისტემები და განხორციელდეს პრევენციული სამუშაოები.

3. ჩამონადენის შემცირების შემთხვევაში, რამაც შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს სოფლის მეურნეობაზე, ენერგომომარაგებასა და მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფაზე, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ უნდა მომზადდეს ადგილობრივი წყლის რესურსის ეფექტიანად მოხმარების სამოქმედო გეგმა, როგორც თვითმმართველი ერთეულის განვითარების გეგმის ნაწილი; ადგილობრივ დონეზე ასევე უნდა მოხდეს ალტერნატიული წყლის რესურსების იდენტიფიცირება (მიწისქვეშა წყლები; წყალუხვობის პერიოდში წყალსაცავები წყლის მარაგის შესაქმნელად და ა.შ.).

4. თუ რამდენიმე მეზობელი რეგიონი სარგებლობს ერთი მდინარის აუზით და ამ ეტაპზე უკვე იდენტიფიცირებულია წყლის რესურსის მოხმარების პრობლემები, უნდა მოხდეს მდინარის სააუზო მართვის ელემენტების ეტაპობრივი შემოტანა საპილოტო პროექტების განხორციელებით. საპილოტო პროექტების განხორციელების პროცესში გამოკვეთილი ბარიერების დაძლევის გზების შემუშავების შემდეგ შეიძლება განხილულ იქნეს საკითხი წყლის რესურსების ინტეგრირებულ მართვაზე გადასვლის შესახებ.

5. ტრანსსასაზღვრო მდინარეების შემთხვევაში მდინარეების სააუზო მართვის საკითხი აქტიურად უნდა იქნეს განხილული. ამ ტიპის მართვის ცალკეული ელემენტები ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში უნდა მომზადდეს და მოხდეს მათი პილოტირება. ამ პროცესში პირველი ნაბიჯი, როგორც წესი, ერთობლივი მონიტორინგის სისტემის შექმნაა.

6. საჭიროა, შემუშავდეს მდინარის დაბინძურების შემთხვევების მუდმივი მონიტორინგის სისტემა, გამკაცრდეს სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე ნახმარი წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციის მოთხოვნები, ისევე როგორც მათი მონიტორინგი.

5.7. მიწისქვეშა წყლების ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობა

1. იმ რეგიონებში, სადაც წყალმომარაგება მთლიანად ან უმეტესწილად დამოკიდებულია მიწისქვეშა წყლებზე, უნდა მოხდეს არსებული წყალპუნქტების ინვენტარიზაცია (პასპორტიზაცია), რესურსის რაოდენობისა და ხარისხის შეფასება და განხორციელდეს მათი მუდმივი მონიტორინგი.



2. ტრანსსასაზღვრო მიწისქვეშა წყლების, წყალშემკრები აუზებისა და მათი ნაწილების მართვის საკითხები ქვეყნებს შორის ხელშეკრულების საფუძველზე უნდა გადაწყდეს ერთობლივი მონიტორინგის სისტემის შექმნის გზით.

3. უნდა მომზადდეს მიწისქვეშა წყლების ეფექტიანად მოხმარების სამოქმედო გეგმა, როგორც რეგიონის განვითარების სტრატეგიის ნაწილი, რათა თავიდან იქნეს აცილებული მიწისქვეშა წყლის რესურსის არასწორი ექსპლუატაციის შედეგად წყლის რაოდენობის შემცირება.

4. იქ, სადაც არსებობს მნიშვნელოვანი გეოთერმული რესურსი, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მისი ეფექტიანი ათვისება, მათ შორის, თბომომარაგების მიზნით (გარკვეულ შემთხვევებში, ელექტროენერჯის გამომუშავების კუთხითაც, თუ ეს ეკონომიკურად წამგებიანი არ არის) და სოფლის მეურნეობაში. უნდა განხორციელდეს ამ რესურსის ეფექტიანი ტექნოლოგიებით მოხმარების კონტროლი ისე, რომ არ მოხდეს რესურსის შემცირება (საცირკულაციო სისტემები). პასუხისმგებლობა რესურსის სწორი ექსპლუატაციისათვის უნდა დაეკისროს რესურსის მოხმარებელს (კერძო სექტორს), ხოლო კონტროლი – რეგიონულ და ადგილობრივ სამსახურებს.

5.8. შავი ზღვის სანაპირო ზონის დაცვა გლობალური და ლოკალური კლიმატური ცვლილებებისაგან და შესაბამისი საადაპტაციო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება

1. რეგიონების განვითარების გეგმებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ბუნებრივი ცვლილებები (მაგ., გლობალური დათბობის შედეგები), რომლებიც სერიოზულ გავლენას ახდენს ზღვის ეკოსისტემაზე და იწვევს არასასურველ ცვლილებებს ამ სისტემაში, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს (მათ შორის, აჩქარებს ანთროპოგენური მიზეზებით გამოწვეულ უარყოფით პროცესებს) სანაპირო ზონაზე.

2. მდინარეთა დელტებში (განსაკუთრებით რიონის დელტა) უნდა მოეწეოს წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების მონიტორინგისა და ადრეული შეტყობინების სისტემები, რომლებიც ასევე რეგიონის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობაში უნდა იყოს.

5.9. განახლებადი ენერგორესურსის (ჰიდრორესურსი, ქარი, შეშა, მზე, ბიომასა, ბიოგაზი, გეოთერმული რესურსი) განვითარების ხელშეწყობა

1. ელექტროენერგეტიკის სექტორში მაქსიმალურად უნდა იქნეს ათვისებული ქარის ენერგეტიკული პოტენციალი.

2. იქ, სადაც თბორესურსი ძალიან მწირია ან საერთოდ არ არის, უნდა გამოიძებნოს ეფექტური გზები ამ რესურსის განვითარებისა და იმპორტისათვის. ბიომასისა და ბიოგაზის სექტორების განვითარება, მზის ენერგეტიკის მაქსიმალური გამოყენება პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს იქ, სადაც ეს ეკონომიკურად მომგებიანია; გრძელვადიან პერსპექტივაში განახლებადი ენერგორესურსის განვითარება იმ თვითმმართველ ერთეულებშიც უნდა მოხდეს, სადაც ეს ეკონომიკურად ნაკლებად მომგებიანია.

3. უნდა მოხდეს ადგილობრივი თბოენერგეტიკის განვითარებაში კერძო სექტორის ჩართვის ხელშეწყობა, როგორც რეგიონული, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ.

5.10. მიწის რესურსების მართვის გაუმჯობესება

1. საჭიროა, ქვეყანას ჰქონდეს მიწის ერთიანი სრულყოფილი კადასტრი. უპირველეს ყოვლისა, მიწის მდგომარეობის შესწავლა საჭიროა იმ რეგიონებში, სადაც მიწის რესურსის მოწყვლადობა გამოვლენილი.

2. ადგილობრივი კლიმატური პირობებიდან, მათში მიმდინარე ცვლილებებზე განხორციელებული დაკვირვებებიდან, არსებული ანთროპოგენური ზეწოლისა და ნიადაგის მდგომარეობიდან გამომდინარე, შემუშავებულ უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო მიწების ექსპლუატაციის ნორმები (პირუტყვის რაოდენობა საძოვრის ერთეულ ფართობზე; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ტიპი, რომელიც დასაშვებია მეწყერსაშიმ ზონებში; იმ ტერიტორიების ქარსაფარებით უზრუნველყოფა, რომლებიც მოწყვლადია ქარისმიერი ეროზიისადმი და სხვ.).

3. უნდა მოხდეს განსაკუთრებით მოწყვლადი (მეწყერები, წყლისმიერი ეროზიები, მდინარეთა ნაპირები და ზღვის სანაპირო ზოლი) მიწების მონიტორინგი, მათი სარეაბილიტაციო და საადაპტაციო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

დანართი №2

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 სექტემბრის დადგენილება №296-სსმIII, №127, 04.10.2010წ., მუხ.1852

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №319 - ვებგვერდი, 17.08.2011წ.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 7 სექტემბრის დადგენილება №342 - ვებგვერდი, 09.09.2011წ.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 11.02.2013წ.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №402 – ვებგვერდი, 31.1.2.2013წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 აპრილის დადგენილება №304 – ვებგვერდი, 22.04.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 მაისის დადგენილება №328 – ვებგვერდი, 05.05.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 აგვისტოს დადგენილება №514 – ვებგვერდი, 27.08.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 მარტის დადგენილება №100 – ვებგვერდი, 11.03.2015წ.



საქართველოს მთავრობის 2015 წლის 31 ივლისის დადგენილება №389 – ვებგვერდი, 03.08.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის დადგენილება №472 – ვებგვერდი, 14.09.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის დადგენილება №31 - ვებგვერდი, 21.01.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის დადგენილება №363 - ვებგვერდი, 29.07.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის დადგენილება №38 - ვებგვერდი, 27.01.2017წ.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 აპრილის დადგენილება №184 - ვებგვერდი, 07.04.2017წ.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 ივლისის დადგენილება №333 - ვებგვერდი, 11.07.2017წ.

საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შემადგენლობა

კახაბერ გულედანი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

გიორგი კაკაურიძე – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი პატარიძე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

ნინო ჯავახაძე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

აკაკი ლოღია – საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი;

თამაზ მარსაგიშვილი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

მაია ბითაძე – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

იური ნოზაძე – საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

გიორგი ბაქრაძე – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

ილია ელოშვილი – საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

მამუკა ცოტნიაშვილი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

თენგიზ ცეკვაძა – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, კომისიის წევრი;

შოთა ქათამაძე – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის დირექტორი, კომისიის წევრი;

ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის მდივანი;

რევაზ კაკულია – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ევროინტეგრაციის და რეფორმების ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

დავით მეტრეველი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

მინდია ლლონტი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ბათუ გურჯიძე – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

დიმიტრი ქებაძე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის ერთიანობის უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

ზაურ აბაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

ვახტანგ ცინცაძე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ზრდის ანალიზისა და რეფორმების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ნუგზარ ჩიტაია – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის მეცნიერების განვითარების სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

ავთანდილ თალაკვაძე – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და



გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორი, კომისიის წევრი.

